

Sylitol® Finish 130

კლიმატური ზემოქმედებისადმი მედეგი, ზედაპირის ერთგვაროვან ფაქტურაზე დამყვანი მასალა, სილიკატურ ბაზაზე არსებული საფარებისათვის.



პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

გამოსაყენებლად მზა საფარი მასალა, სილიკატურ ბაზაზე, კალიუმის თხევადი მინის და ორგანული სტაბილიზატორების შემცველობით. Sylitol® Finish 130 ქმნის კლიმატური ზემოქმედებისადმი მედეგ საფარს, გააჩნია კარგი დაფარვის უნარი, სითეთრის მაღალი დონე, მედეგი პიგმენტაცია (ულტრაიისფერი სხივებისადმი მედეგი) და დიფუზურობის მაღალი ხარისხი. საუკეთესო არჩევანია შეუღებავი მინერალური ბათქაშების, მყარი ნატურალური ქვის და სილიკატური აგურის წყობის დასაფარად. განკუთვნილია საფარის ერთგვაროვან ფაქტურაზე დასაყვანად - Sylitol®-ის ფასადის ბათქაშების, აგრეთვე Capatect Mineral-Leichtputze-სთვის და Capatect-Mineralputze-სთვის.

თვისებები

- კლიმატური ზემოქმედებისადმი მედეგი
- სორბციული უნარის მქონე
- კარგი ადჰეზიის უნარით
- CO2-ის გამტარი
- ორმაგი სილიციფიკაციით -კვარცით გაძლიერებული
- ძალიან მარტივი გამოყენებაში

მასალის შემკვრელი

სილიკატურ ბაზაზე, კალიუმის თხევადი მინის და ორგანული სტაბილიზატორების კომბინაცია.

შეფუთვა

- Sylitol® Finish 130**
- სტანდარტული: 15 ლ.
 - ColorExpress: 1,25ლ, 7,5ლ , 12,5 ლ.

ფერი

თეთრი

Sylitol® Finish 130 -ის შეფერადება შესაძლებელია მექანიკურად ColorExpress-ის სისტემაში არსებულ ფერთა ყველა კოლექციაში. Volltonfarben-ის ხელის აპარატით შეფერადებისას საჭიროა ფერზე დაყენებული პროდუქტი გამოყენებამდე შეედაროს სასურველ ფერს, რათა გამოირიცხოს იქნას ფერში შესაძლო სხვაობა. ერთ სიბრტყეზე არსებული ზედაპირის შეღებვისას გამოიყენეთ იდენტური წარმოების სერიის მქონე პროდუქტი. ინტენსიურ ფერებს ახასიათებს შეზღუდული დაფარვისუნარიანობა, ამიტომ, მათი გამოყენების წინ რეკომენდირებულია წინასწარი დაფარვა ძირითად ფერთან მიახლოებულ პასტელურ ტონში კოლერებული თეთრი ბაზით. შესაძლოა საჭირო გახდეს განმეორებითი შეღებვა.

ფერის შედეგობა საერთაშორისო სტანდარტ BFS-ის შესაბამისად (ინფორმაცია #26):
 (შემკვრელი) კლასი: B
 (პიგმენტაცია) ჯგუფი: 1

სიპრიალის ხარისხი

მქრქალი, კლასი: G3



შენახვის პირობები

შენახვით გრილ, ყინვისგან დაცულ ადგილას. გახსნილი კონტეინერები შეინახეთ კარგად დახუფულ მდგომარეობაში. შეინახეთ მხოლოდ პლასტიკურ კონტეინერებში. შენახვის ვადა: დაახლოებით 12 თვე.

ტექნიკური ინფორმაცია

მახასიათებლები დამოწმებულია საერთაშორისო სტანდარტის DIN EN 1062-ის საფუძველზე:

- მაქსიმალური ნაწილაკების ზომა: 100 მიკრონი
- სიმჭიდროვე: დაახლოებით . 1,5 გ/სმ3
- T გამყარებული ფენის სისქე: 100-200 µm, E3
- წყლის შეღწევადობა: (w-ფაქტორი): ≤ 0,1 (0,08) [კგ/(მ² · h0,5)] (დაბალი), W3
- ორთქლიდიფუზიურობა (sd -ფაქტორი): ≥ 0,14 (0,2)მ (მაღალი), V1.

მხარდამჭერი პროდუქტები

Sylitol® RapidGrund 111, CapaGrund Universal, Minera Universal

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია N. 606 - ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
-	-	-	+	+
(-) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური ნივთიერებებისაგან.

ზედაპირის მომზადება

ერთგვაროვანი ფერის დანაფარის მისაღწევად ზედაპირი უნდა იყოს სწორი და თანაბარი შემწოვი უნარის მქონე. ბათქაშების შეხვედრიანი და ხაოიანი ზედაპირები Sylitol-Konzentrat 111-ის წყალხსნარით / 2:1/ დაგრუნტის შემდეგ საჭიროებს სპირიტის გორგოლაქით დამატებით დაგრუნტვას Sylitol® Minera-თი, სტრუქტურის გათანაბრების მიზნით. მრავალჯერ შესწორებული და მცირე ბზარების მქონე ბათქაშები უნდა დაიფაროს 1, ან 2 მომჭიმავი მუალედური ფენით - Sylitol-Minera. გლუვ ზედაპირებზე რეკომენდირებულია Sylitol® Minera დაიტანოთ ჯაგრისით, ხოლო უხეშ ზედაპირებზე - გორგოლაქით. დიდი ფართობის ზედაპირებზე მუშაობისას, გადაბმის ადგილების ზოლოვან ლაქებად გამოჩენის თავიდან ასაცილებლად, პროდუქტი დატანილ უნდა იქნას ერთი მოსმით „სველი-სველზე“ მეთოდით. ხელით კოლერირებული მასალის გამოყენებისას, თანაბარი ფერის მისაღებად, სასურველია პროდუქტების საჭირო რაოდენობა მთლიანად იქნას ერთმანეთთან შერეული.

არსებული დაუზიანებელი ან ახალი "ფასადის თბოსაიზოლაციო სისტემები" დაფარული; სილიკატური,კირის- (Plc), სილიკონის, P Ic ან P II ჯგუფის ცემენტის ბათქაშებით, Sylitol® -ის ფასადის ბათქაშებით, Capatect-Mineral-Leichtputz და Capatect Mineralputz:
 ძველი ბათქაშები განმინდეთ შესაბამისი სველი მეთოდით. წყლის ჭავლის გამოყენებისას წყლის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 60°C-ს, ხოლო ჭავლის წნევა - 60 ბარს. გასუფთავების შემდეგ ზედაპირი კარგად გააშრეთ. დაფარეთ Sylitol® Finish 130-ით არსებული ბათქაშის ზედაპირის შესაბამისად. ხავსით და სოკოთი დაზიანებული ზედაპირები დაამუშავეთ Capatop-ით.

სილიკატური ან P Ic, P II და P III ჯგუფის ბათქაშები:
 ახალი ბათქაშები: შემდგომ დაამუშავებამდე კარგად გააშრეთ ჰაერის 20C ტემპერატურისა და 65%-იანი ტენიანობის პირობებში, როგორც წესი 2 კვირა. არასათანადო ამინდის დროს, მაგ. წვიმა და ქარი, გაშრობის ხანგრძლივობა შესაბამისად მატულობს.

ცარცვადი ბათქაშები:
 დაამუშავეთ Histolith® Fluat - ით, შემდეგ ზედაპირი მორეცხეთ.

ბათქაშები შესქელებული ქერქით:
 დაამუშავეთ Histolith® Fluat - ით, შემდეგ ზედაპირი მორეცხეთ.

ბათქაშის დეფექტების გამოსწორება
 ზედაპირზე ღია ბზარების და დაზიანებული ადგილების შერემონტებისას სარემონტო მასალა უნდა შეესაბამებოდეს ბათქაშის თავდაპირველ სტრუქტურას და ტიპს. ბათქაშის სარემონტოდ განსაკუთრებით ეფექტურია კირ-ცემენტის შემცველი მზა მშრალი მასალები. შერემონტებული ადგილები შეღებვამდე კარგად უნდა შეიკრას და გაშრეს. შემდგომ დაიფაროს ე.წ. ფლუატირების მეთოდით Histolith® Fluat-ით და გაირეცხოს. მნიშვნელოვანია, რომ ფლუატირება ცილებოდეს შესარემონტებული მონაკვეთის საზღვრებს ფუნჯის 1-2 სიგანის მანძილზე. დიდი ფართობების შერემონტების შემთხვევაში საჭიროა მთლიანი ზედაპირის (როგორც ძველ ისე ახალ ბათქაშებზე) ფლუატირება და შემდგომ გარეცხვა.

ძველი მინერალური დანაფარები:
 მყარი ძველი საფარი განმინდეთ მშრალი, ან სველი წესით. არა მყარი, შლადი ზედაპირები მოაცილეთ ჯაგრისით, ან საფხეკით, ან გამლიფეთ და შემდგომ მორეცხეთ წყლით და დაგრუნტეთ Sylitol® Konzentrat 111-ის კონცენტრატით 2:1 წყალთან.

ძველი დისპერსიული საღებავებით და ბათქაშებით დაამუშავებული ზედაპირი, რომელიც ვეღარ ასრულებს თავის ფუნქციას:
 მთლიანად მოაშორეთ შესაბამისი, მაგალითად მექანიკური, ან ქიმიური მეთოდით, შემდეგ მორეცხეთ წყლის მაღალი ჭავლის მიფრქვევით, სათანადო ნორმების დაცვით. ქიმიურად დაამუშავებული, გლუვი ზედაპირები დაგრუნტეთ Sylitol® Minera-თი, შლად და ძლიერ შემწოვ ზედაპირებზე გამოიყენეთ Sylitol® Konzentrat 111, 2:1 -თან წყლით გაზავებული, ხოლო მუალედური ფენისთვის - Sylitol® Minera.

ძველი, მქრქალი, მზიდუნარიანი დანაფარები დისპერსიული საღებავების ბაზაზე:
განმინდეთ წყლის მაღალი ჭავლის მიფრქვევით, ან სხვა შესაბამისი მეთოდით და სათანადო წესების დაცვით. შუალედური ფენად დაიტანეთ Sylitol-Compact-ი.

ქვიშანაყარი ბათქაშები:
მშრალად გახეხეთ და შემდგომ მორეცხეთ წყლის მაღალი ჭავლის მიფრქვევით, შესაბამისი ნორმატივების გათვალისწინებით.

თბოსაიზოლაციო სისტემების ბათქაშები მინერალურ და სილიკატურ ბაზაზე:
განმინდისთვის გამოიყენეთ წყლის სუსტი წნევით მიფრქვევის ჭავლი, სათანადო ნორმატივების დაცვით. აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენეთ საწმენდი საშუალებები. არ შეიძლება მექანიკური წმენდა. ხავსით და სოკოთი დაზიანებული ზედაპირები დაამუშავეთ Capatox-ით შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით. სიტუაციის მიხედვით, შესაძლებელია გამოიყენოთ ფუნგიციდური და ალგიციდური თვისებების მქონე ThermoSan-ის ტიპის სპეციალური საღებავი.

სილიკატური აგურის წყობა:
შეღებვისთვის გამოსადეგია მხოლოდ ყინვაგამძლე აგურით მოპირკეთებული ზედაპირი, ქვიშის, თიხის და პიგმენტური ჩანართების გარეშე. აგურებს შორის არსებული ნაწიბურები არ უნდა იყოს დაბზარული და არ უნდა შეიცავდეს ადჰიზიის ხელისშემშლელ სუბსტანციებს. მარილები მოაშორეთ ჯაგრისით (მშრალი მეთოდით). დაცული უნდა იქნას საერთაშორისო ნორმა, BFS საინფორმაციო ფურცელი #2. ცარცვადი ზედაპირები დაამუშავეთ Histolith® Fluat-ით და შემდგომ გარეცხეთ

სამშენებლო ქვის დამუშავება:
ნატურალური ქვა უნდა იყოს მშრალი, მყარი და თავისუფალი ყოველგვარი ნაშლისა და მარილებისაგან. დაზიანებული, გამოფიტული ქვის ზედაპირი შეღებვამდე უნდა გამაგრდეს Histolith® Steinfestiger-ით, მრავალჯერადი დამუშავებით. დაბინძურებული ქვა უნდა მოირეცხოს წყლის ჭავლის მიფრქვევით, შესაბამისი ნორმატივების გათვალისწინებით. ქვის ზედაპირები უნდა გარემონტდეს ქვისშემცვლელი მასალებით და არა ბათქაშის ხსნარებით. დეფექტების გამოსწორების ადგილები უნდა იყოს კარგად შეკრული და შეღებვამდე ფლუატირებული და გარეცხილი.

ზრდადი ტენიანობა:
ზრდადი ნესტიანობის გამო ფასადის საფარი დროთა განმავლობაში ფუჭდება. იმისათვის რომ საფარი ხანგრძლივად დაცული იყოს, საჭიროა ჰორიზონტალური გამკვრივება. კარგ და ხანგრძლივ დაცვას გვთავაზობს სანიერების სისტემები, მაგალითად: Histolith® Trass-Sanierputz-პროგრამა.

დატანის მეთოდები

Sylitol® Finish 130, როგორც დამასრულებელი დაფარვა, შესაძლებელია დატანილ იქნას სამღებრო გორგოლაჭით, ფუნჯით ან მიფრქვევით.

უჰაერო მიფრქვევა (Airless):
მიფრქვევის კუთხე: 50°
ნახვრეტის სისქე: 0,023-0,027"
წნევა მიფრქვევისას: 150-180 bar

უჰაერო მიფრქვევის შემთხვევაში საღებავი კარგად მოურიეთ და გაატარეთ საცერში.

დაფარვის სტრუქტურა

დამასრულებელი ფენა Sylitol® Finish 130-ით:

სუსტად და თანაბრად შემწოვი ბათქაშები, სილიკატური აგური და დაგრუნტული ზედაპირები:
შესაბამისი დამუშავების შემდეგ დაგრუნტეთ Sylitol-Finish-ის გაზავებული ხსნარით Sylitol® Konzentrat 111-თან, არა უმეტეს 10%-ისა. დამასრულებელი ფენა დაიტანეთ Sylitol-Konzentrat 111-ით, მაქსიმუმ 3%-იანი გაზავებით.

ძლიერად და არა თანაბრად შემწოვი ბათქაშები და ზედაპირზე ქვიშიანი ბათქაშები:
შესაბამისი დამუშავების შემდგომ დაგრუნტეთ 1 - 2 RT Sylitol® Konzentrat 111-ისა და 1 RT წყლის ნაზავით. ჩოთქით წაუსვით, არ შეაზილოთ. ძლიერად შემწოვ ბათქაშებზე, გამოიყენეთ 2ჯერ სველი-სველზე მეთოდი. შუალედური ფენა არა უმეტეს 10% Sylitol® Konzentrat 111-ით გაზავებული Sylitol® Finish 130/Sylitol® Finish 130-W-ი. დამასრულებელი ფენა არა უმეტეს 3% Sylitol® Konzentrat 111-ით გაზავებული.

ხარჯი

თანაბარ და გლუვ ზედაპირზე-დაახლოებით 150-250 მლ/მ² ერთი ფენისთვის. უხეშ ზედაპირზე ხარჯი შესაბამისად იზრდება. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანის გზით.

გამოყენების პირობები

მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრომის პროცესში:
ჰაერისა და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს +8 C.-ის ფარგლებში.

შრობის დრო	ჰაერის 20 C ტემპერატურისა და 65%-იანი ტენიანობის პირობებში ფენების დატანას შორის დროის ხანგრძლივობა უნდა იყოს 12 საათი. 24 საათში ფენები ხდება წვიმისადმი მედეგი. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო შესაბამისად იზრდება.
ხელსაწყოების წმენდა	სამუშაოს დასრულებისას ხელსაწყოები განმინდეთ წყლით. შესვენებების დროს ხელსაწყოები დატოვეთ საღებავში, ან წყლის ნაკადის ქვეშ.
მითითება	<p>არ დაამუშავოთ პირდაპირი მზის სხივების ქვეშ, წვიმაში, ჰაერის მაღალი ტენიანობის და ძლიერი ქარის დროს. საჭიროების შემთხვევაში დაფარეთ ობიექტი ტენტით. საღებავის დასატანად არ გამოდგება ლაქით და საღებავებით დაფარული, ან მარილის ნალექიანი ზედაპირები, პოლიმარული მასალები და ხე. ასევე, არ გამოიყენება წყლის დატვირთვის მქონე ჰორიზონტალურ ზედაპირებზე. მცირე დაქანების მქონე ზედაპირები უზრუნველყავით სათანადო დრენაჟით.</p> <p>მუქი ტონების შემთხვევაში, მექანიკურმა დაზიანებამ შესაძლოა გამოიწვიოს ღია ფერის ნაკანრების გაჩენა, რაც ყველა მქრქალი საღებავის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს.</p> <p>გრძელ და მკვირვ მასალებზე, ასევე, არახელსაყრელი ამინდით (მაღალი ნესტიანობა) გამოწვეული შენელებული შრობის პირობებში, შესაძლოა ზედაპირზე გაჩნდეს წყალში ხსნადი დამხმარე ნივთიერებების კვალი მოყვითალო, გამჭვირვალე ნებოვანი ლაქების სახით. ძლიერი წვიმების, ან დიდი რაოდენობით წყლის გამოყენებით ლაქები თავისით ქრება და არ მოქმედებს დაფარვის ხარისხზე. სწრაფად მოსაცილებლად საკმარისია მათი დასველება და მცირე ხნის შემდეგ მოწმენდა სველი წესით, რის შემდეგაც საჭიროა ზედაპირის დაფარვა CapaGrund Universal-ის გრუნტით. შესაბამის კლიმატურ პირობებში მუშაობისას მსგავსი პრობლემები არ წარმოიშობა.</p> <p>შეთავსებადობა სხვა პროდუქტებთან: სპეციალური თვისებების შენარჩუნების მიზნით არ შეიძლება სხვა პროდუქტებთან შერევა.</p> <p>მომიჯნავე ზედაპირების დაცვა: მუშაობისას გულდასმით დაფარეთ მომიჯნავე ზედაპირები, განსაკუთრებით: მუშა, კერამიკა, კლინკერი, ბუნებრივი ქვა, მეტალი, ბუნებრივი, ან დალაქული ხე და სხვა დალაქული მასალები. შეხვეები მაშინვე უნდა მოიწმინდოს სუფთა წყლით. ძლიერი ქარის დროს, განსაკუთრებით გორგოლაქით, ან მიმდრეკევით მუშაობისას, სამუშაო არე დაიცავით ტენტით.</p> <p>კონსტრუქციული ზომები: შენობის გამოშვარილი ნაწილები (ფანჯრის რაფები, კარნიშები და სხვა) დაიცავით სათანადო წესებით.</p> <p>იმპრეგნაცია: ზედაპირზე არსებულ მცირე ნაპრალებში წყლის ხანგრძლივი ჟონვა უარყოფითად მოქმედებს დანაფარის ხარისხზე. ნესტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადგილების ჰიდროფობიზაცია, რომელიც შესაძლებელია Disboxan 452 Wetterschutz- ით, საგრძნობლად აუმჯობესებს დანაფარის მდგრადობას. იმპრეგნაცია უნდა ჩატარდეს წინა დანაფარის სრული გამრობის შემდეგ, არაუადრეს 10 დღისა. ასევე, სასურველია ზ.ა. პროცედურა გამოიყენოთ სუფთა ზედაპირის მქონე სამშენებლო ქვაზეც, რათა ხანგრძლივი დროით დაიცვათ წყლით დატვირთვისა და ადრეული დანალექისგან.</p> <p>მარილის ნალექის მქონე ზედაპირები: შესაძლოა მარილების განმეორებითი გამოტანა, რაც საგრძნობლად აფერხებს ადჰეზიას და აუარესებს დაფარვის ხარისხს.</p>

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები	Sylitol® Finish 130-ს ახასიათებს მაკნე ზემოქმედება წყლის ორგანიზმებზე. მოარიდეთ ბავშვებს! თვალში მოხვედრისას გულდასმით მოიბანეთ წყლით და მიმართეთ ექიმს. კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ და გულდასმით დაიბანეთ წყლით და საპნით. არ დაუშვათ საღებავის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში. თვალეები და კანი დაიცავით საღებავის შეხვეების მოხვედრისგან. გადაყლაპვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, საღებავმა შეიძლება დაარღვიოს კუჭ-ნაწლავის ფლორა. არ შეისუნთქოთ მისხურების შედეგად წარმოშობილი „ღრუბელი“. მუშაობის პროცესში გულდასმით დაფარეთ მომიჯნავე ზედაპირები. შეიცავს: 1,2-ბენზოთიაზოლ-3(2H)-ონი. შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას როგორც წყალდისპერსული საღებავის დანაკარგი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საღებავი ან სამშენებლო ნაგავი.
VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)	პროდუქტის კატეგორია (A/c): 40 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 20 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი	BSW 40
შემადგენლობა	ტუტე წყლის მინა, აკრილის ფისოვანი დისპერსია, მინერალური პიგმენტები და შემავსებლები, წყალი, დანამატები

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია

აღ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge

